სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N3

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ყაზარაშვილის სახით

და

მეორეს მხრივ **შპს „ალგანი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ დევდარიანის სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც მხარეები;

მხარეები ვმოქმედებთ რა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 30 დეკემბრის #3948 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

<u>ზოგადი დებულებები</u>

- შპს “ალგანი” (დაცვითი ორგანიზაცია) არის კერძო დაცვით ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომელსაც აქვს “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” და “კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია;
- მიმწოდებელი ახორციელებს “კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ დაცვის ობიექტის დაცვას და დაცვის ობიექტებზე დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟსა და ექსპლუატაციას;
- მიმწოდებელი თანახმაა დაიცვას შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით (მისი დანართებით) განსაზღვრული დაცვის ობიექტი;
- შემსყიდველი თანახმაა, რომ მის მიერ განსაზღვრული დაცვის ობიექტი დაცულ იქნას დაცვითი ორგანიზაციის მიერ;
- მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა მიერ შედგენილია დაცვითი მომსახურების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ ამ ხელშეკრულების პირობებზე მისი შესავალი დებულებების ჩათვლით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან დაცვის მომსახურების (CPV 79713000) (შემდგომში „მომსახურების“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების დანართების და პირობების შესაბამისად, კერძოდ: საზოგადოებრივი წესრიგისა და ობიექტის გარეშე პირთა ხელყოფისაგან და მის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა; მომსახურების დასახელება, ვადები და ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-სა (ტექნიკური დავალება) და დანართი #2-ში (ფასების ცხრილი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2 გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს მომსახურებას ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია კეთილსინდისერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.

2.2. დაცვის ობიექტზე დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოს კვალიფიციური **6 დაცვის თანამშრომელი (ცვლაში 24 საათიანი გრაფიკით)** და უზრუნველყოს მათი დროული და მოწესრიგებული გამოცხადება დაცვის ობიექტზე, შესაბამისი დამტკიცებული დაცვის ფორმით ან კლასიკური ჩაცმულობით;

2.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.4. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

2.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. მომსახურებას ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით და სატენდედერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 6 509,70 (ექვსი ათას ხუთას ცხრა ლარი და 70 თეთრი) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით . აღნიშნული ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, რომელიც უკავშირდება მომსახურებას შესრულებას.

5.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მიღება-ჩაბარების აქტი; ბ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს 5.2 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

6.2. თუ მიმწოდებელი 6.1 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ვერ/არ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება დააკისროს მიმწოდებელს შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს შემსყიდველისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღისა.

6.3. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. არაჯეროვანი მომსახურების გაწევის შედეგად შემსყიდველისათვის ან/და მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. მომსახურების შესრულების დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე 0.02%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

6.6. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ მომსახურება დღეზე 0.02%-ის ოდენობით.

6.7. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2017 წლის 02 მარტის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს: მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. დავათა გადაწყვეტა

11.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის: თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12.4. ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	**შპს „ალგანი“**
ს/კ 404957338	ს/კ 202246097
მის: ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. #8,	მის: ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. N18,
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სს “რესპუბლიკა ბანკი“	სს “რესპუბლიკა ბანკი“
ბანკის კოდი: REPLGE22	ბანკის კოდი: REPLGE22
საბანკო ანგარიში:	საბანკო ანგარიში:
ა/ა GE11BR0000010061775786	ა/ა GE39BR0000010941044489
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	**დირექტორი**
თორნიკე ყაზარაშვილი	**რამაზ დევდარიანი**
_____	_____

დანართი N1

ტექნიკური დავალება

1.1 შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის დაცვა, რომელიც მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, გორის ტელე-რადიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე.

1.2 დაცვა უნდა განხორციელდეს დაცვის დღე-ღამის განმავლობაში დანართი N 1-ში (ტურბინების და შენობების განლაგების სქემა) წარმოდგენილ ტერიტორიაზე.

1.3 მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს დაცვითი მომსახურების განხორციელების გეგმა.

1.4 საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ოპერატიული ჯგუფის გამოცხადება შესაბამის ობიექტზე შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 7 წუთში.

1.5 დაცვის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს: ყოველდღიურად 24 საათიან რეჟიმში.

1.6 დაცვის თანამშრომლებმა უნდა მოახდინონ ტერიტორიაზე განთავსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად მიჩნეული ქმედებისაგან და ასევე უზრუნველყონ შემდეგი ქმედებები:

a. ვიზიტორების და თანამშრომლების მიმართ წესრიგის დაცვაზე მეთვალყურეობა
b. პირველადი ზომების მიღება ტექნიკური ავარიების და ხანძრის შემთხვევაში

1.5 "შემსრულებელმა" მომსახურების განხორციელებისას უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელთა შერჩევა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი.

1.6 დაცვის თანამშრომელები აღჭურვილი უნდა იყვნენ სპეც. უნიფორმით.

1.7 აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "დამკვეთს" უფლება აქვს მოსთხოვოს "შემსრულებელს" დაცვის თანამშრომლის შეცვლა, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია შეცვალოს დაცვის თანამშრომელი 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და „დამკვეთს" უფლება ექნება შეწყვიტოს ხელშეკრულება.

1.8 დაცვის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს დაცვის თანამშრომელთა აღჭურვა ყველა საჭირო ტექნიკური საშუალებებით.(ჯიხურები, ავტოტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებები, და ა.შ.)

1.9 აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში „შემსრულებელმა" დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს როგორც „დამკვეთს" ასევე შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურებს. უნდა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა. ასევე "შემსრულებელი" ვალდებულია, შეადგინოს შესაბამისი ოქმი მომხდარი შემთხვევის შესახებ დაზიანებული, დაკარგული, განადგურებული ქონების მითითებით.

1.10 „მიმწოდებელი" ფინანსურ პასუხისმგებლობას იღებს იმ მატერიალური ფასეულობების დაკარგვაზე, რომელთა გატანა დაცული ტერიტორიის გარეთ შეუძლებელია დაფარულად (მათ შორის კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, საშუალო და დიდი ზომის სანტექნიკური მოწყობილობა და სხვა მოძრავი ქონება)

შემსყიდველი: შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური" თ. ყაზარაშვილი _____	**მიმწოდებელი:** შპს „ალგანი" რ. დევდარიანი _____

დანართი N 2

ფასების ცხრილი

დასაცავი ობიექტის დასახელება	დაცვის საათები დღე-ღამეში	დაცვის თანამშრომელთა რაოდენობა დღე-ღამეში	დაცვის მომსახურების ღირებულება დღე-ღამეში	დაცვის მომსახურების ღირებულება თვეში	დაცვის მომსახურების ღირებულება სულ
ქარის ელექტროსადგურის ტერიტორია	24სთ	3	216.99	6509.7	6509.7

"შემსყიდველი" შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური"
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: /თ. ყაზარაშვილი/

"მიმწოდებელი" შპს „ალგანი"
დირექტორი: /რ. დევდარიანი/